საიდ. N 83216/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №114-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე, ს. ებრალიძე, ქ. კილაძე თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა მოქალაქე გოჩა ჩხაიძის (მის: ზ.ფალიაშვილის ქ. N92, ბინა N21, 0162 თბილისი, საქართველო) N114-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს N1478/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნისთვის „otka ოტკა“ (საიდ. N83216/03) დარეგისტრირება სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს N1478/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „OTKA ოტკა“ (საიდ. №83216/03) არ ექვემდებარება რეგისტრაციას, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „WYBOROWA S.A.“ (მის: ul. Komandoria 5, PL-61-023 Poznan, PL), სახელზე 33-ე კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვალისათვის ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმის მიხედვით, საქართველოში გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „ODDKA“ (რეგ. თარ. 2011-04-07, IR 1073792). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ და რეგისტრირებულ ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს განცხადებული ნიშნის შემთხვევაში ასოები: „T“ და „ტ“, ხოლო რეგისტრირებული ნიშნის შემთხვევაში, სიტყვის შუაში განთავსებული ორი ასო „DD“, თუმცა, აღნიშნული განსხვავება ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას, ვინაიდან ბგერები - „T“„ტ“ და „DD“ გამოითქმის ერთნაირად და თუ ისინი ნიშანში თანაარსებობენ იდენტურ ან მსგავს ხმოვნებთან ერთად, სახეზეა ფონეტიკური მსგავსება. გარდა ამისა, ფონეტიკური მსგავსება ძირითადად დამოკიდებულია სიტყვიერ ელემენტში მარცვლების რაოდენობაზე, დაპირისპირებულ ნიშნებში კი ასეთი რაოდენობა იდენტურია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი გოგა ჩხაიძე არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან გრაფიკული თვალსაზრისით. განცხადებული ნიშანი „otka ოტკა“ შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი „ODDKA“ შესრულებულია მხოლოდ ლათინური ანბანით. ამასთანავე, განცხადებული ნიშანი შესრულებულია პატარა ლათინური და ქართული ასოებით, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი - მთავრული ასოებით. დაპირისპირებული ნიშანი შედგება 5 ასოსაგან, ხოლო განცხადებული ნიშანი ორი ანბანით შედგება ინტერვალით დაშორებული 4 ლათინური და 4 ქართული ასოსაგან, შესაბამისად, იგი ვიზუალურად აღიქმება ბევრად უფრო გრძელ ნიშნად, ვიდრე ხუთასოიანი დაპირისპირებული ნიშანი. აპელანტის პოზიციით, განცხადებული ნიშანი „otka ოტკა“ წარმოადგენს ორ ორმარცვლიან აღნიშვნას, შესაბამისად, მარცვლების საერთო რაოდენობა არის ოთხი. დაპირისპირებული ნიშანი შეიცავს ვიზუალურად კარგად დამახსოვრებად ორ ერთნაირ მეორე და მესამე ასოს „DD“ და ვიზუალურად სრულიად განსხვავდება განცხადებული ნიშნის ლათინურ ვარიანტში იმავე პოზიციის მქონე ასოებისაგან „tk“. აპელანტის განმარტებით, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული ნიშნები სრულიად განსხვავდებიან საერთო შთაბეჭდილებით. აპელანტის მითითებით, დაპირისპირებული ნიშანი ჟღერს, როგორც „ოდდკა“, ხოლო განცხადებული ნიშნის ჟღერადობაა „ოტკა ოტკა“. ამასთან, აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას იმ ნაწილში სადაც ნიშნების ფონეტიკური მახასიათებლების შედარებისას მოხდა მხოლოდ მათი ლათინური ელემენტების შედარება - „otka“ -

„ODDKA“. განცხადებული ნიშნის ქართული ელემენტის ჟღერადობის მხედველობაში მიღების შემთხვევაში, ნიშნების ფონეტიკური განსხვავება იმდენად აშკარა იქნებოდა, რომ გამორიცხავდა ამ ნიშნების აღრევის შესაძლებლობას მომხმარებლის მიერ და შესაბამისად, მის შეცდომაში შეყვანას საქონლის მწარმოებელი კომპანიის მიმართ. აპელანტმა თავისი პოზიციის გასამყარებლად მოიშველია ევროპული ქვეყნების პრაქტიკა და განმარტა, რომ მოკლე ნიშნების მსგავსების დადგენისას ზოგჯერ ერთი განსხვავებული ასოს არსებობის გამო, შესაძლებელია ნიშნები არ ჩაითვალოს მსგავს ნიშნებად:

1316/1999	EN	ODOL	IDOLE
651/2001	EN	YSL	SL
838/2001	EN		
1038/2001, confirmed by BoA Decision R0611/2001-1	EN	TOM	DOM

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს N1478/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „otka ოდკა“ (საიდ. N83216/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. № 114-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „otka ოტკა“ (საიდ. N83216/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ODDKA“ (IR 1073792) წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

კერძოდ, ორივე ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, სადაც განცხადებული ნიშანი „otka ოტკა“ (საიდ. N83216/03) შესრულებულია ლათინური და ქართული ანბანით. განცხადებული ნიშნის ლათინური აღნიშვნა შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, „ODDKA“ იგი ასევე შესრულებულია სტანდარტულად, ლათინური ასომთავრული ასოებით. ნიშნებში იდენტურია მათში შემავალი მარცვლების რაოდენობა. მსგავსია ნიშნების საწყისი და ბოლო ნაწილები „ot -OD”, „ka- KA“. განცხადებული ნიშნის ორ ენაზე შესრულება და ასოთა ზომას შორის სხვაობა ვერ სძენს ნიშნებს საკმარის ვიზუალურ განმასხვავებლობას.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია ფონეტიკურად, ვინაიდან ქართველი მომხმარებლის მიერ ნიშნები გამოითქმის, როგორც „ოდკა“-„ოტკა“. ამასთან, ბგერები „დ“ და „ტ“ ჟღერს ერთნაირად, რადგან ისინი მიეკუთვნებიან ხშულ-მსკდომ ბგერებს, რაც ნიშნებს ფონეტიკურად უფრო მსგავს ხდის.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი და აღნიშნული საქონლის რეალიზაციის ადგილი, რაც ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის „otka ოტკა“ (საიდ. N83216/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გოჩა ჩხაიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 14 აგვისტოს N1478/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა,

სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ქ. კილაძე

ს. ებრალიძე